

## ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში

განხორციელების ვადა: 01.08.2020 - 01.02.2023

EaP ქვეყნები:  
Georgia

ევროკავშირის € 350 000


წვლილი:

მთლიანი € 437 500

ბიუჯეტი:

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgian Biotechnology Association, L. Sakvarelidze National Center for Disease Control and Public Health (NCDC),



### პროექტის აღწერა:

პროექტის მიზანია, ლაბორატორიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების ერთიანი პლატფორმის შექმნის გზით, ხელი შეუწყოს ლაბორატორიული მომსახურების დარგის ახალგაზრდა პროფესიონალებს კომპეტენციების გაძლიერებასა და დასაქმებას თბილისსა და საქართველოს ოთხ რეგიონში: კახეთში, იმერეთში, აჭარასა და გურიაში.

პროექტის ამოცანებია:

1. შეიქმნას და დაინერგოს ლაბორატორიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები საქართველოს ოთხ უნივერსიტეტში: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრსა და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის უშუალო მონაწილეობით, შეიქმნას და დაინერგოს პედაგოგთა/ტრენერთა პროფესიული გადამზადების კურსები, რომლებიც მომავალში შეძლებენ, ლაბორატორიული უსაფრთხოების მიმართულებით, ადგილზე მოამზადონ დაინტერესებული პირები.

### მოსალოდნელი შედეგები:

2 წლიანი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი შედეგების მიღება:

1) საქართველოს ოთხ უნივერსიტეტში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შეიქმნება და დაინერგება ლაბორატორიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები.

2) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრსა და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის უშუალო მონაწილეობით, შეიქმნება და დაინერგება პედაგოგთა/ტრენერთა პროფესიული გადამზადების კურსები, რომლებიც შეძლებენ, რომ მომავალში ადგილზე მოამზადონ დაინტერესებული პირები ლაბორატორიული უსაფრთხოების მიმართულებით.

3) შეიქმნება ონ-ლაინ პორტალი, რომელიც გააერთიანებს 2 ძირითად კომპონენტს ა) ცოდნის საერთაშორისო პლატფორმა/ფორუმი, რომელზეც ყველა დაინტერესებული პირი მიიღებს საინტერესო და საჭირო განახლებად ინფორმაციას; ბ) ერთიანი ონ-ლაინ დასაქმების/კარიერული განვითარების პორტალი რომელშიც გაერთიანდება ლაბორატორიული მომსახურების სფეროში არსებული ვაკანსიების, სტაჟირების, გადამზადების პროგრამების, საგრანტო